საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1021 2016 წლის 6 ივნისი ქ. თბილისი

მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გრანტის მიღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტს, „მცირე კავკასიის ალიანსების ქვემო ქართლის პროგრამის“ ფარგლებში, მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი, პირუტყვის დაავადებების კონტროლისა და კატასტროფების რისკის შემცირების მუნიციპალური სამუშაო ჯგუფის ეფექტურად მუშაობისათვის ხელშეწყობის მიზნით, მიიღოს გრანტი 15 000 (თხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით.

პრემიერ-მინისტრი. გიორგი კვირიკაშვილი